საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები 2023 წელი

ორგანიზაციულ ფუნქციური განვითარება

1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ხულოს სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ქ. კასპის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 2023 წელს;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს ონის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2024 წელს;
- 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა ახალი სახანძრო-სამაშველო განყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოები აბასთუმანში;
- 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა ქ. თბილისში, გორგასლის 83ა დაზიანებული კედლის სამშენებლო სამუშაოები;
- 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა ქ. ბათუმის ნავსაყუდელის ტერიტორიაზე განთავსებული სამაშველო განყოფილებისთვის საოფისე ფართის მოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახანძრო-სამაშველო შენობების მცირე სარემონტო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კახეთის რეგიონში სამი ერთეული რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები;
- 2023 წელს დაიწყო ქ. ბათუმში ოპერატიული მართვის ცენტრის მოწყობის სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2024 წელს;
- 2023 წელს დაიწყო ქ. თბილისში, უცნობ გმირთა ქ. N182-ში მდებარე სტადიონის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2024 წელს;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საწყობის მშენებლობა საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოსთვის.

2. განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ზამთრის უნიფორმა და მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ასევე უსაფრთხოების ფეხსაცმელი, მეხანძრის ცეცხლგამძლე და სამაშველო ხელთათმანი, საბრძოლო ფორმა/აღჭურვილობა, სამთო აღჭურვილობა/ტანსაცმელი, სააღლუმე ფორმები, საველე აღჭურვილობა, საწვიმარი ლაბადები, ოპერატორების მაისურები, ზამთრის ქუდები, დამცავი სათვალეები,

ზედამხედველობის თანამშრომლებისათვის ფორმა-ტანსაცმელი, მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური უნიფორმა და რეზინის ჩექმები;

- შეძენილი იქნა ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით საჭირო სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე სამაშველო თოკები, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები, ასევე სამაშველო ჟილეტები და ჩანთები;
- სამსახურის ახალი შენობებისთვის შეძენილ იქნა საოფისე ავეჯი და შესაბამისი ტექნიკა;
- შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა ერთი ერთეული სტაციონარული დიზელ-გენერატორი;
- სამსახურის სამაშველო დანიშნულების ავტომანქანებისთვის შეძენილ იქნა სახურავის საბარგულები და ჯალამბრები;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და ვიდეო-აუდიო აპარატურა;
- შეძენილ იქნა 11 ერთეული ტყის ხანძრების ჩაქრობისათვის განკუთვნილი ავტომანქანების აღჭურვილობა;
- შეძენილ იქნა მაღალი წარმადობის წყლის საქაჩი ტუმბოს ("ROSENBAUER") სახანძრო აღჭურვილობა;
- მოხდა პორტატული (საჯარიმო) პრინტერის შესყიდვა;
- დაწყებულია პროცედურები სხვადასხვა სახის სამაშველო და დამცავი აღჭურვილობის (სამთო-სამაშველო თოკები, მაიზოლირებელი შეკუმშული ჰაერის აპარატები, კომპრესორები და სხვა) შესყიდვის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურს გადმოეცა შემდეგი სახის აღჭურვილობა:

- ურბანულ ნანგრევებში მსხვერპლის საძიებო სხვადასხვა დასახელების აღჭურვილობა;
- 2 ერთეული VOLVO FL 10-ის მარკის და 1 ერთეული RENAULT MEGA SITY-ის მარკის საგზაო-სამაშველო ავტომანქანა (ამწე კრანით) "პოლონეთის სახელმწიფო სახანძრო სამსახური"-ს მიერ;
- 1 ერთეული MAN-ის მარკის სახანძრო ავტოკიბე ქალაქ ქუთაისისთვის (იაპონიის საელჩოს მიერ);
- 1 ერთეული MAN-ის მარკის ავტო კალათა (ქ. ბიბერახიდან თელავის მუნიციპალიტეტისთვის);
- 1 ერთეული MAN-ის მარკის სამაშველო ავტომობილი (ავსტრიის რესპუბლიკის ტიროლის რეგიონიდან);

- 1 ერთული Isuzu-ს მარკის სამაშველო ავტომობილი (პოლონეთის რესპუბლიკის სახანძრო უნივერსიტეტიდან);
- 2 ერთეული BRP CAN-AM OUTLANDER 6X6 (გადმოცემა აშშ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის (US ODC) მხრიდან);
- 40 ერთეული სათხილამურო კომპლექტი (თხილამური, ჯოხი, ბათინკი, ბათინკის დამჭერი და თხილამურის დამცავი);
- წყალზე სამაშველო აღჭურვილობა;
- წყალქვეშ ძებნა-შველის ღონისძიებების დისტანციურად წარმართვისთვის საჭირო უნიკალური მოწყობილობა.

3. განახლებული მცურავი და სამთო-სამაშველო საშუალებების ავტოპარკი

- შესყიდულია 4 ერთეული სწრაფმავალი კატარღა, ასევე დაიწყო მუშაობა 15 ერთეული სწრაფმავალი კატარღის შესყიდვის შესახებ;
- გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 1 ერთეული ტყის ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ავტომანქანის შესყიდვაზე. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება ანალოგიური დანიშნულების 10 ერთეული (ახალი, არამეორადი) სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად;
- ასევე დაიწყო მუშაობა 31 ერთეული სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის შესახებ.

4. ორგანიზაციული განვითარება

- 2023 წლის 1 იანვრიდან სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში შეიქმნა სასწავლო ცენტრი (სამმართველო). სააგენტოს საშტატო განრიგში ცვლილების საფუძველზე, 2023 წლის 1 იანვრიდან, სააგენტოს საშტატო რაოდენობა 30 ერთეულით გაიზარდა, აქედან სასწავლო ცენტრისთვის (სამმართველო) განისაზღვრა 16 საშტატო ერთეული. ამჟამად სააგენტოს საშტატო რაოდენობა შეადგენს 43 ერთეულს;
- სასწავლო ცენტრის საქმიანობის ხარისხის განვითარების მიზნით დაინერგა: ISO 21001: 2018 სტანდარტი;
- განხორციელდა „მეხანძრე-მაშველთა საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის“ საათობრივი დატვირთვის გაზრდა და მას დაემატა ახალი საგნები;

- შეიქმნა „ცვლის მეთაურის საბაზისო სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელშიც შედის როგორც საბაზისო, ასევე ახალი სამენეჯერო რგოლისათვის შესაბამისი საგნები;
- სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა აქტიურად მონაწილეობს, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის კონფერენციებსა და სწავლებებში;
- საანგარიშო პერიოდში სასწავლო ცენტრში სხვადასხვა სასწავლო პროგრამების/კურსების ფარგლებში მომზადება/გადამზადება გაიარა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის - 362 მოსამსახურემ;
- 2023 წელს მომზადება ჩაუტარდა, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების და კერძო კომპანიების 72 თანამშრომელს;
- 2023 წელს 40-მა მოქალაქემ თავად გამოთქვა სურვილი და მოხალისეობის შესახებ აპლიკაცია ატვირთა ოფიციალურ ვებგვერდზე www.volunteers.ge -ზე,
- 2023 წლის ივნისში გურიის რეგიონში გაიმართა პროექტ "მოხალისე"-ს პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და მოსახლეობა. მოხალისეობის მსურველებს შორის შერჩეულ იქნა 20-მდე მოხალისე;
- იგეგმება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოხალისეებისთვის სამსახურის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული მაღალი გამავლობის სახანძრო ავტო-ცისტერნის „გაზ-66“, მეხანძრე მაშველის ფორმა/ტანსაცმლის და განმასხვავებელი ფორმის (ოფიციალური ამოსაცნობი ნიშნით) გადაცემა;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა მოხალისეთა შერჩევა/დარეგისტრირება და შემდგომში მათი სამთო-სამაშველო მიმართულებით გადამზადება. ამ დროისთვის დარეგისტრირებულია 5 მოხალისე.

მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში:

- ახალგაზრდულ ბანაკში სოფელ ანაკლიაში გაიმართა შეხვედრა თსუ სტუდენტებთან. ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესებში მოხალისეების ჩართვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;

- მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში;

- მონაწილეობა მიიღეს დანიაში, ქ. კოპენჰაგენში DEMA-ს (დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) ორგანიზებით ჩატარებულ სწავლებაში „დანიის მზადყოფნის სისტემისა და გვარდიის მოხალისეობრივი პროგრამა“.

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის მიღებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 20 ივლისის №45 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 24 აგვისტოს №64 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 მარტის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 24 აგვისტოს №65 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის წახალისების წესისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 2 აგვისტოს №57 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის წახალისების წესისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 7 სექტემბრის №68 ბრძანება.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 309 ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები.

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) ფინანსური მხარდაჭერით, კლიმატის რისკის ინტეგრირებული მართვის (CRM) პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქ. თბილისის, აბაშის, სენაკის, ხობისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების მიზნით, მერიის სამსახურების უფროსებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილი პირების მომზადების ორი ფაზით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, ჩაუტარდათ თეორიული სწავლებები და მომზადებულ იქნა მუნიციპალური უსაფრთხოების პასპორტებისა და მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების პროექტები. 2024 წელს დაგეგმილია მესამე ფაზით გათვალისწინებული აქტივობები, კერძოდ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს ჩაუტარდებათ სამაგიდო ვარჯიშები მუნიციპალური საგანგებო გეგმის პროექტების დატესტვის მიზნით;
- შეთანხმებულ იქნა თელავის, ლაგოდეხის გურჯაანის, ქობულეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების უსაფრთხოების პასპორტები და ქობულეთის, ლაგოდეხის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საგანგებო მართვის გეგმები.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებული და შემდგომი აქტივობები:

- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამის PPRD East 3 ფარგლებში ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი ტერიტორიული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მონაწილეობით თეორიული და პრაქტიკული სწავლებები ჩატარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის 7 საჯარო სკოლაში; ასევე სწავლებები ჩატარდა: სსიპ ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N 6 საჯარო სკოლაში, სადაც ესწრებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 7 მოსწავლე, რუსთავის 28-ე საჯარო სკოლაში, სადაც ესწრებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 39 მოსწავლე, სსიპ ქ. თბილისის N141 საჯარო სკოლაში, სადაც ესწრებოდა სპეციალური საჭიროების მქონე 29 მოსწავლე;
- UNDP-ის პროგრამის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბროშურები საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესის შესახებ (მათ შორის ბრაილის შრიფტით);

- საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთდა ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილ პირთა საკონსულტაციო შეხვედრებს საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მოსახლეობის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების არაერთ ღონისძიებაში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მათ შორის ინკლუზიური და სპეციალურ საგანმანათლებლო სუბიექტებთან ერთობლივად) თანამშრომლობით, საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, პერმანენტულად ატარებენ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებს (2023 წლის განმავლობაში ამ სახის სწავლება ჩატარდა 18 ორგანიზაციაში);
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სწავლებებში, ვარჯიშებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში. მათ შორის, უწყებათაშორისი სწავლება „დიდგორი 2023“-ის დამაგეგმარებელ კონფერენციებსა და უშუალოდ სწავლებაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით, დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

თანამშრომლობა ევროკავშირთან

- ევროკავშირის პროგრამა - EU4 Security, Accountability and Fight against Crime in Georgia (SAFE) ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 2023 წელს გადმოეცა 465 547,82 დოლარის სხვადასხვა დასახელების სახანძრო, სამაშველო, მათ შორის წყალზე და სამთო სამაშველო სპეციალური აღჭურვილობა (წყალქვეშა რობოტი, გასაბერი ნავი, სამთო თხილამურები, თერმული კამერები, დრონები, კვადროციკლი და სხვა).
- ევროკავშირის პროგრამა „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში„ (EU-SAFE) ფარგლებში 2023 წელს წარმატებით მიმდინარეობდა პროექტი სახელწოდებით „ტექნიკური შესაძლებლობების განვითრების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 191 თანამშრომლისთვის ჩატარდა სწავლებები შემდეგი მიმართულებით:

- ხანძრის ქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების მიმართულებით მეთაურთა გადამზადების კურსი;
- სწავლება წყალზე სამაშველო ოპერაციების შესახებ (ToT on Water Search);
- თოკზე სამაშველო ოპერაციების შესახებ ტრენერთა ტრენინგი;
- ურბანული, ტყის ხანძრების და სამაშველო საკითხებში ტრენერთა ტრენინგი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადარჩენის საკითხებზე; ინფორმაციისა და გადარჩენის მეთოდების გაზიარების, ცნობიერების ამაღლების ტრენერთა ტრენინგი;
- ტრენერთა სწავლება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვულ ინციდენტებზე;
- მეთაურთა გადამზადების კურსი (ინციდენტების მართვა და სტანდარტული ოპერატიული პროცედურები);
- ოპერატიული მართვის ცენტრის ოპერატორთა გადამზადება;
- მეხანძრე-მაშველთა პროფესიული სტანდარტები.

- „ტექნიკური შესაძლებლობების განვითრების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ პროექტის ფარგლებში 2023 წელს საერთაშორისო ექსპერტების მიერ 15 ინციდენტზე მომზადდა სტანდარტული ოპერატიული პროცედურების დოკუმენტი (SOP).
- კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან (UCPM) ინტეგრაციის მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატთან (DG ECHO). საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ UCPM-ის ეგიდით გამართულ სწავლებებსა და საგრანტო პროექტებში. კერძოდ:

  - 2023 წლის სექტემბრის თვეში, იტალიის ქ. ვოლტერაში გაიმართა ევროკავშირის ერთიანი სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (EUCPM) შესავალი კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1-მა თანამშრომელმა;
  - 2023 წლის სექტემბრის თვეში, ბელგიაში ჩატარდა ევროკავშირის ერთიანი სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (EUCPM) შესავალი კურსი, რომელიც განკუთვნილი იყო UCPM-ის საკონტაქტო პირებისთვის (NCP). აღნიშნული შეხვედრა გაიმართა ბელგიის სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალური დირექტორატის (DGCP) მიერ, კონსორციუმთან, DG ECHO-სთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის დაფინანსებით. კურსის მიზანს წარმოადგენდა ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება UCPM-ის და მისი

ფუნქციების შესახებ. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1-მა თანამშრომელმა;

- 2023 წლის ოქტომბრის თვეში, ბელგიის ქალაქ ბრიუსელში ჩატარდა ვორქშოპი თემაზე: „ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტები კატასტროფების რისკის მართვაში ინვესტირებისათვის“. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1-მა თანამშრომელმა;
- 2023 წლის სექტემბრის თვეში, ქ. ლინცში (ავსტრია) UCPM-ის ეგიდით ჩატარდა ფართომასშტაბიანი საველე სწავლება FORMATEX23. აღნიშნული ტრენინგის პროფილს წარმოადგენდა-კატასტროფების რისკის მართვა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვა. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1-მა თანამშრომელმა;
- 2023 წლის მაისის თვეში, ნორვეგიაში, ქ. ბოდოში ევროკავშირისა და ნორვეგიის სამოქალაქო უსაფრთხოების დირექტორატის მიერ განხორციელდა სრულმასშტაბიანი სასწავლო პროგრამა-Arctic REIHN, რომლის მიზანს წარმოადგენდა ბირთვული ან რადიაციული ინციდენტის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების ტესტირება, შემოწმება და შემდგომი რეაგირება. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1-მა თანამშრომელმა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ორგანიზებით და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის ფარგლებში, 2023 წელს საქართველოში მრავალეროვნული სწავლება EU MODEX 2023 ჩატარდა. სწავლების მიზანს წარმოადგენდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა, ასევე ქვეყანაში კრიზისების დროს ტექნიკური (ექსპერტული) მხარდაჭერის უზრუნველყოფა და მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის რეგულაციების დატესტვა. სწავლებაში მონაწილეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სასაზღვრო პოლიციის, ასევე ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ მიიღო;
- 2023 წელს, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების (EU UCPM) საგრანტო პროგრამის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო სამსახურისა და კვიპროსის ევროპული უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა სრულმასშტაბიანი სწავლება. სწავლების მიზანს წარმოადგენდა მონაწილე ქვეყნების სამოქალაქო უსაფრთხოების მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიწისძვრის სცენარზე შემუშავებულ სწავლებაში

მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 24 თანამშრომელმა და ერთმა მაშველმა ძაღლმა. საერთო ჯამში, სრულმასშტაბიან სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 7 ქვეყნის 300-ზე მეტმა ძებნა-შველის ჯგუფმა და ექსპერტმა სომხეთიდან, კვიპროსიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, მონტენეგროდან, საქართველოდან და ჩრდილოეთ მაკედონიიდან;

- კვიპროსის და იტალიის კვლევითი ცენტრების ჩართულობით, 2022 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა გაიმარჯვა UCPM საგრანტო კონკურსში და ევროკავშირისგან მიიღო ორწლიანი პროექტის დაფინანსება. პროექტი სახელწოდებით "SAILOR" 2023 წელს დაიწყო და მისი მიზანია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასების შესაძლებლობების გაზრდა. 2023 წელს განისაზღვრა საპილოტე რეგიონი პროექტის განხორციელებისთვის და შემუშავდა დაინტერესებულ პირთა (სტეიქოლდერების) რუკა/სია.

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გააჩნია კონკრეტული ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრულია ასოცირების შეთანხმების 22-ე თავით - სამოქალაქო უსაფრთხოება; აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნდა საიტზე: www. aa-monitoring.ge;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობების გაზრდისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამა - PPRD East 3-ში. PPRD East 3-ის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალი აქტივობა და სწავლება. კერძოდ: 2023 წლის 12-16 ივნისს, საქართველოში, ევროკავშირის ტექნიკური ექსპერტული დახმარების პროგრამის (PPRD) ეგიდით, ჩატარდა ფართომასშტაბიანი საველე სწავლება. სწავლება წარიმართა ტყის ხანძრების თემაზე, წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით და მისი მიზანი იყო ფართომასშტაბიანი კატასტროფების დროს შესაბამისი უწყებების კოორდინაცია და კომუნიკაცია. სწავლებაში მონაწილეობა მიიღეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფებმა, სომხეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და მოლდოვადან, სპეციალური სახანძრო ავტო ტექნიკითა და საავიაციო საშუალებით. საქართველოს მხრიდან სწავლებებში ჩართულნი იყვნენ სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ის სუბიექტები (სახელმწიფო უწყებები), რომლებიც არსებული სისტემის მიხედვით ჩართულები არიან ეროვნული დონის საგანგებო სიტუაციების რეაგირების ნაწილში. კერძოდ: გარემოს ეროვნული სააგენტო, სატყეო სააგენტო, სასაზღვრო პოლიცია, საპატრულო პოლიცია და სხვა.

სწავლებაში ჯამში 400-მდე მეხანძრე-მაშველი მონაწილეობდა. შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობდა 170 თანამშრომელი.

- 2023 წლის განმავლობაში, PPRD-ის ორგანიზებით გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო სწავლებებსა თუ ვიზიტებში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 27-მა თანამშრომელმა;
- 2023 წელს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ოფიციალურად გააკეთა განაცხადი ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) წევრობის შესახებ.

NATO-სთან თანამშრომლობა

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და NATO-ს შორის თანამშრომლობის ფორმატებია: ყოველწლიური სამოქმედო გეგმა ANP და SNGP (Substantial NATO Georgia Package) Crisis Management Initiative. 2023 წელს შემუშავდა ANP-სა და SNGP-ის სამოქმედო გეგმები;

- 2023 წლის 2 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP), კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში, ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ტერიტორიაზე (დ/პ პალდო), გაიმართა „ინსტრუქტორთა მომზადების კურსი“-ს (ToT) პირველი და მეორე ეტაპი (თემატური და მეთოდოლოგიური). აღნიშნული კურსი ჩატარდა დანიელი ინსტრუქტორების მიერ და მიზნად ისახავდა საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებად ინსტრუქტორთა მომზადებას ეროვნული გვარდიის და შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის. კურსში მონაწილეობა მიიღო სამსახურის 10 (ათმა) თანამშრომელმა.
- 2023 წლის 15 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP), კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში, ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ტერიტორიაზე (დ/პ პალდო), გაიმართა „ინსტრუქტორთა მომზადების კურსი“-ს სწავლების მეთოდოლოგია (ToT). კურსში შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 10 (ათმა) თანამშრომელმა.
- 2023 წლის 18 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP), კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში, ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ტერიტორიაზე (დ/პ პალდო), გაიმართა „ინსტრუქტორთა მომზადების კურსი“-ს თემატური ნაწილი (ToT). კურსში შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 10 (ათმა) თანამშრომელმა.
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კოორდინაციით, 2023 წლის 6-9 ნოემბერს, ქ. კოპენჰაგენში (დანიის სამეფო), ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) კრიზისების მართვის ინიციატივის მიზნებიდან გამომდინარე, შსს სსდ-

საგანგებო სიტუციების მართვის სამსახურის და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის წარმომადგენელთა სასწავლო ვიზიტი გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში დანიის სამეფოს თავდაცვის სამინისტროს უწყების სტრუქტურული დანაყოფების, მათ შორის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (DEMA), ეროვნული გვარდიის (DHGC) და სხვა სამსახურის/ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს კრიზისული ვითარების მართვის პროცესში მოხალისეობის ადგილობრივი სისტემა გააცნეს და საუკეთესო გამოცდილება გაუზიარეს. აღნიშნულ ვიზიტში სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 3 თანამშრომელმა.

- 2023 წლის 13-17 მარტს, ქ. ობერამერგაუში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ნატოს სკოლაში ჩატარდა კურსი NATO CBRN Analysis Operators Course (P3-74) თემაზე - „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების ანალიზის პროცედურები“. სწავლების მიზანს წარმოადგენდა ნატოს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების ანალიზის პროცესების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. აღნიშნულში სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 1-მა თანამშრომელმა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი სახის პროექტები:

<u>პოლონეთი</u>

2023 <u>წელს განხორციელებული სწავლებები</u>

- 2023 წლის 24-31 ოქტომბერს დაბა გუდაურში, პოლონური ორგანიზაცია „ ICAD”-ის ორგანიზებით ჩატარდა სწავლება თემაზე „საბაგირიდან გადარჩენა“. მისი მიზანი იყო საქართველოს მთიან რეგიონებში სამთო-სამაშველო შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული სწავლების ფარგლებში პოლონელმა ინსტრუქტორებმა შსს-სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 7 მეხანძრე-მაშველი მაღალ მთაში სამაშველო ოპერაციების განხორციელების მიმართულებით გადაამზადეს.
- 2023 წლის 16-22 აპრილს, ქ. კრაკოვში (პოლონეთი), პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა სწავლება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება. აღნიშნულ სწავლებაში შსს-სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 11 თანამშრომელი ესწრებოდა. მონაწილეებმა მიიღეს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა შემდეგი მიმართულებებით:
    - საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე ხერხები;
    - ავტო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაზარალებულისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა;
    - შემთხვევის ადგილის შესწავლა და დამუშავება;
    - ავტო-საგზაო შემთხვევების დროს პოლიციასა და მაშველებს შორის კომუნიკაცია და სხვა.

- 2023 წლის 7-13 ნოემბერს, პოლონური დახმარების პროგრამის ფარგლებში, ICAD-ის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტში წყალზე და სამთო სამაშველო სწავლება ჩატარდა. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან 8 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. სწავლება მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:
    - სამაშველო ოპერაციების ჩატარება მთიან მდინარეებში;
    - წყალზე სამაშველო მანევრირების ტექნიკა;
    - თოკზე სამაშველო საკითხები.
- პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სახანძრო სამსახურთან პროექტის „საქართველოში კრიზისების მართვის ფარგლებში სამაშველო დანაყოფის ქსელის განვითარება და ანალიზი“ ფარგლებში, 2023 წლის 7-14 მაისს პოლონეთის რესპუბლიკის ქ. ჩესტოვაში მდებარე სასწავლო ცენტრში პოლონელ მეხანძრე-მაშველებთან ერთად შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 12 მაშველმა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თოკზე სამაშველო სწავლება გაიარა. ამავე პროექტის ფარგლებში 10 თანამშრომლისთვის ჩატარდა საგზაო სამაშველო სწავლება.
- 2023 წლის 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, წყალტუბოში ჩატარდა საგზაო უსაფრთხოების ტრენინგი, სახელწოდებით „ტრენინგი პოლიციელებისთვის საქართველოში საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად“. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 15 თანამშრომელმა.
- 2023 წლის 24-31 აგვისტოს, პოლონური დახმარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, “ICAD”-ს ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის სამთო-სამაშველო შესაძლებლობების განვითარება საქართველოს მთიან რეგიონებში - ფარგლებში, სვანეთში, თეთნულდზე გაიმართა სამთო-სამაშველო სწავლება. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის 7 (შვიდმა) თანამშრომელმა. სწავლება მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამაშველო სამუშაოები მაღალმთიან რაიონში; ყინულზე მუშაობა რეალურ პირობებში; მყინვარზე გადაადგილების წესები. ამავე ორგანიზაციის მიერ 2023 წლის 11-13 სექტემბერს, ყაზბეგში გაიმართა საველე სამედიცინო სწავლება, სადაც მონაწილეობა მიიღო ყაზბეგის სამთო-სამაშველო ჯგუფის 15 თანამშრომელმა (15 მაშველი).
- 2023 წლის 13-17 ნოემბერს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე პოლონეთის სახანძრო უნივერსიტეტის (Polish Fire University) მიერ დაგეგმილი სწავლების დასკვნითი ეტაპი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 (რვა) მეხანძრე-მაშველმა. სწავლება მოიცავდა შემდეგ საკითხებს:
    - პირველადი დახმარების ძირითადი საკითხები;
    - პირველადი დახმარება საგზაო -სატრანსპორტო შემთხვევების დროს;
    - საგზაო სატრანსპორტო საშუალებების ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები;

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება.

- 2023 წლის 2-9 დეკემბერს, პოლონური ორგანიზაცია "ICAD"-ის ორგანიზებით ქალაქ კატოვიცეში (პოლონეთი) სამთო-სამაშველო სწავლება გაიმართა. აღნიშნულ პრაქტიკულ სწავლებაში სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 6 (ექვსმა) თანამშრომელმა.

<u>2023 წელს გადმოცემული აღჭურვილობები</u>

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და პოლონური ორგანიზაცია ICAD თანამშრომლობის ფარგლებში, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პოლონეთი დახმარების პროგრამის თანადაფინანსებით, 2023 წელს სამსახურმა ICAD-ისგან უსასყიდლოდ მიიღო 101 969,76 ზლოტის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამთო-სამაშველო აღჭურვილობა.
- პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სახანძრო სამსახურთან პროექტის „საქართველოში კრიზისების მართვის ფარგლებში სამაშველო დანაყოფის ქსელის განვითარება და ანალიზი“ ფარგლებში 2023 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა შემდეგი დასახელების აღჭურვილობები:
  - 66657,19 პოლონური ზლოტის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამთო-სამაშველო აღჭურვილობა;
  - 327 000 ევროს ღირებულების 3 (სამი) ერთეული საავარიო-სამაშველო სპეციალური ტექნიკური ავტომანქანა;
  - 36 278,85 პოლონური ზლოტის ღირებულების 17 ერთეული პლანშეტი.
- პოლონეთის სახანძრო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტრეინინგ ცენტრმა სასწავლო მიზნებისთვის უსასყიდლოდ მიიღო 339 972,00 პოლონური ზლოტის ღირებულების ISUZU-ს მარკის მაღალი გამავლობის სამაშველო მანქანა.

<u>ავსტრია</u>

<u>2023 წელს განხორციელებული სწავლებები და გადმოცემული აღჭურვილობები</u>

- ავსტრიის რესპუბლიკის ტიროლის ფედერაციულ მიწასთან თანამშრომლობის ფარგლებში 2023 წლის 30 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით, ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს შუამდგომლობით, ტიროლის მიწაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 7 მეხანძრე-მაშველს ჩაუტარდა სახანძრო ავტოტექნიკის პრაქტიკული გამოყენების ტექნიკური კურსი. სწავლების ფარგლებში, ქართველმა მეხანძრე მაშველებმა ჰიდრავლიკური მოწყობილობით, ასევე სახანძრო-სამაშველო მანქანის აღჭურვილობით სხვადასხვა ტვირთების მოძრაობის პრაქტიკული სავარჯიშოებიც გაიარეს.

- სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონსა და ტიროლის ფედერაციულ მიწას შორის 2021 წელს გაფორმებული ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სახანძრო და სამაშველო შესაძლებლობების განვითარების კუთხით აქტიურად თანამშრომლობს ტიროლის ფედერაციული მიწის სამაშველო და სპეციალურ სახანძრო დანაყოფებთან. ნაყოფიერი თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს სამსახურმა ავსტრიული მხარისგან მიიღო 32.247,40 ევროს ღირებულების ზამთრის სამთო ოპერაციებისთვის პირადი უსაფრთხოების სრული ეკიპირება და ფორმა ტანსაცმელი, ასევე, 25,000 ევროს ღირებულების 1 ერთეული სახანძრო-სამაშველო მანქანა.
- 2023 წლის 5-11 მარტს, დაბა გუდაურში საქართველოში ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისის კოორდინირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სათხილამურო ტრასებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის და ზვავსაშიშ ზონებში სამაშველო ოპერაციების ჩატარების მიმართულებით სპეციალური სწავლება ჩაუტარდათ. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 15 მეხანძრე-მაშველმა.

<u>ჩეხეთი</u>

- 2023 წლის 20-25 ნოემბერს, შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ბაზაზე ჩეხეთის რესპუბლიკის სახანძრო-სამაშველო სამსახურის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთობლივი სწავლება ჩატარდა. სწავლების ფარგლებში საქართველოს ეწვია ჩეხეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის 5 ექსპერტი. სწავლება მოიცავდა სახანძრო-სამაშველო თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. სწავლების მიზანს წარმოადგენდა მონაწილეეებისთვის ჩეხეთის სახანძრო და სამაშველო სისტემის გაცნობას, თანამედროვე მაღალსართულიანი შენობებში სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას და სხვადასხვა სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობებზე პრაქტიკული სწავლების ჩატარებას. აღნიშნული სწავლება გაიარა სამსახურის 15-მა პოტენციურმა ინსტრუქტორმა (მეხანძრე-მაშველმა).

<u>გერმანია</u>

- 2023 წლის 25 სექტემბრიდან 01 ოქტომბრის ჩათვლით, გერმანიაში, ქ. ბიბერახში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით გაიმართა სწავლება - „ოპერაციული კონტროლის დაგეგმვა და პროცესის დაგეგმვა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შსს-სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს 4-მა თანამშრომელმა.

- ქალაქ ბიბერახსა და ქ. თელავს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ჰუმანიტარული დახმარების სახით გადაეცა ერთი ერთეული ამწევი პლატფორმა (მანქანა), რომლის ღირებულებამ შეადგინა 12 180 ევრო.

თანამშრომლობა იაპონიასთან

- 2023 წლის 4-19 თებერვალს, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის (JICA) ორგანიზებით იაპონიაში, ქალაქ კობეში ოსაკას მუნიციპალიტეტის სახანძრო დეპარტამენტთან (OMFD) ერთად ჩატარდა ტრენინგ კურსი „სამაშველო ტექნიკები“, სადაც მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1 (ერთმა) თანამშრომელმა. აღნიშნული კურსი მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, კერძოდ:
  - სამთო-სამაშველო ტექნიკის შესწავლა;
  - თოკზე მუშაობის მანერები;
  - სადგურების მოწყობა;
  - დაზარალებულის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;
  - დახმარება დაბალი და მაღალი ადგილიდან;
  - სამაშველო ხელსაწყოების და აღჭურვილობის შესწავლა.
- 2023 წლის 19 სექტემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს JICA-ს კიუშიუს ცენტრის ორგანიზებით, ქ. ფუკუოკაში (იაპონია) ჩატარდა სასწავლო კურსი - "ხანძრის მართვისა და კატასტროფების რისკის შემცირება" (Course No. 202208487J001). სწავლება მოიცავდა ხანძრის მართვის, პრევენციის და რისკების შემცირების საკითხებსა და პრაქტიკულ წვრთნებს. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 1 (ერთმა) თანამშრომელმა.
- 2023 წელს, იაპონიის მთავრობის გრასრუტისა და ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო დახმარების (GGP) პროგრამის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 119 000 აშშ დოლარის ღირებულების სახანძრო კიბე "ქუთაისის მუნიციპალიტეტისთვის.

აშშ-სთან თანამშრომლობა

<u>2023 წელს განხორციელებული სწავლებები</u>

- 2023 წლის 20 - 23 ივნისს აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის (DoE) და ევროკომისიის კვლევითი ცენტრის დაფინანსებით ატომური ექსპერტიზის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის (ITWG) 26-ე საერთაშორისო შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა სიმულაციური

სწავლება. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10-მა თანამშრომელმა;

- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით 2023 წლის 12-23 ივნისს ქალაქ პერიში (ჯორჯიის შტატი, აშშ) გაიმართა სწავლება ბირთვულ და რადიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების შესახებ. აღნიშნულ სწავლებას შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების სამმართველოს 9 (ცხრა) თანამშრომელი ესწრებოდა;
- აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 17 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით, ქ. ბათუმში, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში, ასევე ქ. ბათუმისა და ქ. ფოთის ნავსადგურებში გაიმართა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის მრავალუწყებრივი სწავლება (JMOC TTX#2). სწავლება მიზნად ისახავდა მონაწილეთა პროფესიული უნარჩვევების გაძლიერებას, სამსახურებრივი ურთიერთობისა და კონტაქტების დამყარებას, სხვა მონაწილე უწყების უფლებამოსილებების გაცნობას და სამოქმედო პროცედურების გაუმჯობესებას. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 1 თანამშრომელმა;
- აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით, მიმდინარე წლის 11-18 სექტემბერს გაიმართა ქბრბ საფრთხის შემცველი მასალების გამოყენების ადგილზე სამაგიდო და პრაქტიკული უწყებათაშორისი სწავლება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქბრბ მთავარი სამმართველოს 18 (თვრამეტი) თანამშრომელმა.
- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) კოორდინაციით, ,,იარაღის გაუვრცელებლობის“ საერთაშორისო პროგრამის (ICP) ფარგლებში, ქ. ბათუმში, 2023 წლის 4-7 დეკემბერს, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა რიგით მე-3 მრავალუწყებრივი სწავლება (JMOC TTX N3), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქბრბ მთავარი სამმართველოს 3 (სამი) თანამშრომელმა.
- 2023 წლის 7-9 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო გაუვრცელებლობის ბიუროსა და მოლდოვის მთავრობის მხარდაჭერით ქ. კიშინიოვში (მოლდოვა) ჩატარდა ბირთვული და რადიაციული (ბ/რ) ინციდენტების გამოვლენის სამაგიდო სწავლება. სწავლება მოიცავდა სცენარზე დაფუძნებულ დისკუსიას და ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა ბირთვული და რადიაციული ინციდენტების გამოვლენა; ინფორმაციის მყისიერი გაზიარება; საფრთხისა და რისკების ანალიზის მექანიზმები. აღნიშნულ სწავლებაზე შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან ესწრებოდა 1 თანამშრომელი.

- 2023 წლის 12-17 ივნისს აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ბორჯომისა და რაჭის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა წყალზე სამაშველო პრაქტიკული სწავლება. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 30-მა მეხანძრე-მაშველმა მიიღო მონაწილეობა.
- 2023 წლის 29 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ რაჭის მუნიციპალიტეტში ჩატარდა თოკზე სამაშველო სწავლება, რომელშიც შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 22-მა მეხანძრე-მაშველმა მიიღო მონაწილეობა.
- 2023 წლის 29 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით, აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (US ODC) ორგანიზებით, ჯორჯიის შტატ ქ. ატლანტაში გაიმართა სამაგიდო ვარჯიში საგანგებო სიტუაციების რეაგირებაზე, რომელშიც შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 4-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

2023 წელს გადმოცემული აღჭურვილობები

- აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 179 492,82 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა სამაშველო და სახანძრო აღჭურვილობა და ტექნიკა.
- აშშ თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსთან (US DTRA) თანამშრომლობის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 133 146,53 აშშ დოლარის ღირებულის ქბრბ აღჭურვილობა.

თურქეთთან თანამშრომლობა

- 2023 წლის აპრილის თვეში, თურქეთის თანამშრომლობის და კოორდინაციის სააგენტო (TIKA)-ს ორგანიზებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ცეცხლგამძლე სახანძრო-სამაშველო ფორმები გადაეცათ. სპეციალური ფორმების გადაცემის ცერემონია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტერიტორიაზე გაიმართა. გადმოცემული სახანძრო-სამაშველო სპეციალური ფორმების ჯამური ღირებულება შეადგენს 67365,00 ლარს.

გაეროსთან თანამშრომლობა

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროგრამა სახელწოდებით „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებისკენ საქართველოში“ ფარგლებში, სამსახურისთვის შესყიდულ იქნა 186,600 ლარის ღირებულების 12 ერთეული გასაბერი კარავი.
- 2023 წელს განხორციელდა INSARAG-ის მენტორის არაერთი ვიზიტი სამსახურში, რომლის მიზანია გაეროს საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფთან

(INSARAG) თანამშრომლობის გაღრმავება და INSARAG-ის კლასიფიკაციისთვის მზადყოფნის ამაღლება.

- 2023 წლის იანვარში, პროექტის „ტყის მდგრადი და კლიმატ გონივრული მართვის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა“ ფარგლებში, გაეროს განვითრების პროგრამამ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადასცა 4980 აშშ დოლარის ღირებულების 20 ერთეული ცეცხლმაქრი.

2023 წელს საერთაშორისო ეგიდით გამართული სასწავლო კურსების მეშვეობით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 752 თანამშრომელი გადამზადდა.

სამომავლოგეგმები

- სამართლებრივი თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით ხელშეკრულებების დადება პარტნიორ სახელმწიფოებთან;
- ეფექტური კომუნიკაცია დონორ ორგანიზაციებთან, რაც გულისხმობს როგორც ტექნიკური და მატერიალური დახმარების გაწევას, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაძლებლობების განვითარებას;
- UCPM-თან თანამშრომლობის გაღრმავება, მათ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სწავლებებში მონაწილეობის მიღება;
- ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით აღებული ვალდებულებების იმპლემენტაცია;
- გაეროს ოფისებთან (UNOCHA, UNDP) თანამშრომლობის დამყარება და გაღრმავება, პროექტების განხორციელება;
- გაეროს საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფთან (INSARAG) თანამშრომლობის გაღრმავება და INSARAG-ის კლასიფიკაციისთვის მზადება.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

- საანგარიშო პერიოდში სრულად დაინერგა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss), მიმდინარეობს მისი ფუნქციონალის განვითარების სამუშაოები, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ელექტრონული ოქმის შემუშავება;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერაქტიული რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალის დახვეწა/განვითარების სამუშაოები;
- პილოტირების რეჟიმში დანერგილ სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემის (efris) პლატფორმაზე შემუშავდა:
  - ცვლაში მყოფ მეხანძრე-მაშველთა და შესაბამისი ტექნიკის აღრიცხვის მოდული;
  - მეხანძრე-მაშველთა ინციდენტზე რეაგირების შეტყობინების სასიგნალო მოდული;
  - ოპერატორების სამუშაო განრიგის აღრიცხვის მოდული;

- საოპერაციო გარემოში დაინერგა სატესტო რეჟიმში მყოფი ლოჯისტიკის მართვის მოდული.